დიადი ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
შაბათი
8
ნოემბერი
№ 263
(16389)
ფასი
2 კაპ.
1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР



ᲛᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲖᲔᲘᲛᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 58-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲮᲐᲚᲮᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲐ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲪᲮᲐᲓᲧᲕᲔᲡ �პᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ, ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ — ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲜ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ, ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲮᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 1975 ᲬᲚᲘᲡ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი წითელ მოედანზე. ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

კომუნიზმის გზით!

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ᲩᲕᲔᲜ ქვეყანაში მოვიდა დიდი ოქტომბრის დღესასწაული. საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავი შეავრაგორაც მეცხრე ხუთწლედის დამთავრებელი წელი, რომელიც ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნეს საბჭოთა ადამიანებმა საყვარელი სამშობლოს სასახელოდ. 1975 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისა და ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანება დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს აქტიურობას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

„დამკვრელური კომუნისტური შრომა ჩვენი ქვეყნის განმტკიცების, ჩვენი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ყველაზე უტყუარი გზაა. ეს ამავე დროს დიდი წვლილიც არის მტკიცე მშვიდობის საქმეში“, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. დღევანდელი დღესასწაული საბჭოთა ხალხის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის ქვეყნების მომქმე ხალხების გამარჯვებათა ფიეტკარი დემონსტრაციაა.

7 ნოემბერი. წითელი ალმები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები ამშვენებს წითელ მოედანს. სახელმწიფო უნივერმაღის ფასადზე საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის პორტრეტია. კრემლის გალავნის გასწვრივ მოჩანს სსრ კავშირის გერბი, ჩვენს ფრეგეგ მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების გერბები. საბჭოთა კავშირი ერთა და ეროვნებათა ერთიანობის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისადმი მათი საერთო მისწრაფების დამაჯერებელი მაგალითია.

„ლენინის პარტიას — დიდებ!“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მხარს ვუჭერთ და ვიწონებთ!“, „წინ ლენინური გზით“! — ასეთი ლოზუნგები ელვარებს მოედნის გარშემო შენობებზე. ასინი გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ერთსულოვან აზრს, პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას. წითელი ალმების ფონზე მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების პორტრეტები.

სტუმრების ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, კომუნისტური პარტიის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, დედაქალაქის საწარმოების, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მოწინავენი მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი. კოსმონავტები. აქვე არიან სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დღესასწაულის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩამოვიდნენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წარმოგზავნილნი. მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის მოსკოვი და დიდი ოქტომბერი მშვიდობა და თავისუფლებაა. „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს დღესასწაული ჭეშმარიტად ინტერნაციონალური დღესასწაული, ყველა მშრომელი ადამიანის დღესასწაული გახდა,—ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.— დიდი ოქტომბრის იდეები, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის „მოძღვრება მაზლოვილი და გასაგები მთელი ჩვენი პლანეტის მშრომელებისათვის“.

ოქტომბერი და მშვიდობა განუყოფელია. საბჭოთა მთელი ისტორია შეუპოვარი ბრძოლაა ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და უშიშროებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების პირველი საგარეო-პოლიტიკური აქტი იყო ზავის დეკრეტი. ახლა საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებულ მშვიდობის პროგრამას.

დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპს დასაბამი მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა. მისი შედეგები შესაბამება მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის. ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების. პრინციპებს, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა.

მოედანზე გრიალებს ტაში, გაისმის შეძახილები „ვაშა!“, „დიდ საბჭოთა ხალხს დიდება!“, „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“. „პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!“. ეს მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები არიან, რომლებიც გულთბადად მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი.** აქვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლე ზუანი.

მავზოლეუმის მარჯვენა ფრთაზე დგანან საბჭოთა კავშირის მარშლები, ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები.

ღიღის ათი საათია. მაცხოვრის კარიბჭიდან ღიგ მანქანით გამოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. მის შესახვედრად მიდის პარადის სარდალი მაჩენა. მინისტრმა მიიღო მოსკოვის სამხედრო ოლქის ლენინის ორდენოსანი ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ლ. გოვოროვის პატაკი და ჩამოუარა ჯარებს. მიუღოცა მათ დღესასწაული. პასუხად გაისმის მეომართა მძლავრი „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლა დამთავრდა. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას ამბობს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გ Ა. Ა. ᲒᲠᲔᲩᲙᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

ჩვენო პატიცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის სახელითა და დავალებით მოგეს ალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეთვრამეტე წლისთავს.

წლეულს ოქტომბრის საყოველთაო სახალხო დღესასწაულს ჩვენი სამშობლო აღნიშნავს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობის ვითარებაში, რომლებიც უდიდესი ენთუზიაზმით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი ძალებითა და შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე ეგებება პარტიის მორიგ ყრილობას. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომა ჩინებულ ნაყოფს იღებს. სწრაფი ტემპით, განუხრელად ვითარდება ჩვენი სახალხო მეურნეობა. სულ უფრო წარმატებით წყდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. წლითიწლობით მაღლდება ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. განსაკუთრებით მტკიცეა ახლა საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა. განუხრელად მტკიცდება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი კოსმოსის კვლევაში უდიდესი მიღწევებით აღინიშნა. პროგრესულმა კაცობრობამ დიდი შეფასება მისცა კოსმოსური ხომალდების „სოიუზის“ და „აპოლონის“ ერთობლივი ფრენისა და ორბიტული კომოსური სადგურის „სალუტ-4“-ის ორი ეკიპაჟის ფრენის წარმატებას. დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ კოსმონავტიკის ისტორიაში პირველად გავიყვანეთ ვენერას ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრები და მივიღეთ პლანეტის ზედაპირის უნიკალური გამოსახულებები დასაშვები აპარატების დაჯდომის ადგილებიდან.

ახალ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ განვითარებაში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა. კიდევ უფრო მჭიდრო გახდა მათი ძმური მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მიღწევები განსაკუთრებით ნათლად მოჩანს იმ სოციალ-ეკონომიკური ძვრების ფონზე, რომლებიც ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება. ჩვენი წარმატებები კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფს საქვეყნოდ სოციალიზმის უდავო უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის თანამიმდევრული განხორციელების, მომქმე სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებული პოლიტიკისა და მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლის შედეგად საერთაშორისო მდგომარეობა ვითარდება დაძაბულობის შემდგომი შენელების, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა კონსტრუქციული ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გზით. ამას ადასტურებს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრება და შემდგომი ნაბიჯები საერთაშორისო უშიშროების განტკიცების გზაზე. თავისუფლებისათვის სამართლიანი ბრძოლის ზეიმი გახდა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ხალხთა სახელოვანი გამარჯვებები. წარმატებული ეროვნულ-განმთავისუფლებელი ბრძოლისა და პორტუგალიაში ფაშიზმის დამხობის შედეგად დაინგრა უკანასკნელი კოლონიური იმპერია. ამ ქვეყნის მშრომელები დღეს თავდადებით იბრძვიან რეაქციის წინააღმდეგ, თავიანთი სახელმწიფოს თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული განვითარებისათვის. საერთაშორისო ასპარეზზე გრძელდება უძლეველი პროცესი — განუხრელად იკვლება ძალთა თანაფარდობა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ.

მაგრამ მსოფლიოში ჯერ კიდევ მოქმედებენ აგრესიული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც ჭიუტად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას. არ ჩამქრალა უადრესად საშიში კერა ახლო აღმოსავლეთში. საერთაშორისო ვითარებას ართულებს პეკინელ ხელმძღვანელთა პროვოკაციული პოლიტიკაც, მათი ცდები ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელების პროცესს.

ასეთ პირობებში კიდევ უთრმეტი მნიშვნელობა ენიჭება მთელი პროგრესული ძალების ერთიანობასა და აქტიურ მოქმედებას მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც თანამიმდევრულად და მტკიცედ გაატარებენ ლენინურ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. ამავე დროს, ითვალისწინებენ რა საერთაშორისო რეაქციის ხრიკების საშიშროებას, ისინი დაუცხრომლად ზრუნავენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, ზრდიან საბჭოთა ადამიანებს დიდი რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით.

ჩვენი ხალხი, მისი მეომრები მზურვალენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს ლენინური პარტიის სამინაო და საგარეო პოლიტიკას, ყოველდღიური შრომით ეგანმტკიცებენ ურყევ ერთგულებას კომუნიზმის იდეალებისადმი.

საუკეთესო საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად და სამეფოდ დგანან დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. თავისი სოციალისტური სამშობლოს, კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობა, ეგებება ხა სკკპ XXV ყრილობას, განუხრელად იმაღლებს პოლიტიკური მომზადების დონეს და საბრძოლო ოსტატობას. საბჭოთა მეომრები მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას იხმარენ სოციალისტური სამშობლოს სამსახურის ღიად სანქეს და მუდამ მზად არიან ვარშავის ხელშეკრულების მომქმე ქვეყნების მეომრებთან საბრძოლო თანამეგობრობით შასრულონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეთვრამეტე წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაკად ავანგარდს!

„ვაშა!“

* * *

და მოედანზე კვლავ სამგზის გუგუნებს „ვაშა!“. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. გაერთიანებული სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

იწყება ჯარების საზეიმო მარში. ტრადიციისამებრ წინ მოდიან ნორჩი მედოლენი. მოედანი მჭეხარე ტაშით ხვდება გამარჯვების

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲒᲕ.).

საზეიმო დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი.**

დარბაზობაზე იყვნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ლე ზუანი**, არგენტინის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **ხ. არნედო ალვარესი**, ურუგვაის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **როდნეი არისმენდი.**

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიის ვეტერანები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, მხედართმთავრები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, კოსმონავტი მფრინავები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, წითელ მოედანზე გამართული სამხედრო პარადის მონაწილენი.

დარბაზში იყვნენ მეგრეთვე საბჭოთა კავშირში აკრედიტებული საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ელჩები, უცხოელი სტუმრები, რომლებიც დღესასწაულზე მოსკოვში ჩამოვიდნენ, სამოვდელოების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობის მონაწილეებს სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ძვირფასო ამხანაგებო!

პატივცემულო უცხოელო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ სულითა და გულით მივესალმო დღევანდელი პარადისა და სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებს, ყველა თქვენგანს, ვინც ამ დარბაზში მობრძანდით, რათა აღვნიშნოთ საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს დაბადების 58-ე წლისთავი. გილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ყველა საბჭოთა ადამიანსა და ჩვენი სამშობლოს საზღვარგარეთელ მეგობრებს საბჭოთა ხალხის დიად დღესასწაულს! (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

ჩვენი დღესასწაული აღინიშნა საბჭოთა ხალხის, მისი შვილების დიდი საქმეებით ქარხნებსა და შახტებში, მშენებლობებზე, მინდვრებსა და ფერმებში, ლაბორატორიებსა და შემოქმედებითს სახელოსნოებში, სადაც მილიონობით ადამიანს ამოძრავებს ახლა ერთი სურვილი: წარმატებით დაამთავროს ხუთწლედი, ღირსეულად შეხვდეს ჩვენი კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

ჩვენი დღესასწაული მიმდინარეობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შთამბეჭდავი წარმატებებისა და სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირების ვითარებაში, ახალ მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლების შექმნისათვის ბრძოლაში.

ჩვენი დღესასწაული გაციცკროვნებულია ეგრეთწოდებული „ახლო“ კოსმოსისა და შორეული პლანეტების კვლევაში საბჭოთა მეცნიერებისა და კოსმონავტების ახალი დიდებული მიღწევებით შუქით.

დღეს მოსკოვის წითელ მოედანზე კვლავ დამაჯერებლად გვიჩვენებს თავისი ძლევამოსილება საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც ხაიმედოდ იცავენ ჩვენი ხალხის მშვიდობიან შრომას. (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ). და კვლავ ამ სასიხარულო ხადღესასწაულო დღეს ქვეყნის მთავარი მოედანი — ისევე როგორც სხვა მისი ქალაქებისა და სოფლების მოედნებიც — აავსო მრავალი ათასი მშრომელის მძლავრმა ნაკადმა. მათ ცხადყვეს ხალხის შეკავშირება თავისი ლენინური პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, ცხადყვეს, რომ ამაყობენ მიღწეულით, მზად არიან ახალი შრომითი გამარჯვებებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მადლობას ვუძღვნი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელს, ყველას, ვინც თავისი შრომით მას კიდევ უფრო ალამაზებს, კიდევ უფრო ამდიდრებს და ამძლავრებს, ვინც დგას მისი ხელი უშიშროების სადარაჯოზე, იცავს მის ინტერესებს. (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

ბევრი რამ გაკეთდა, ამხანაგებო, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. და რაც უფრო დიდი და რთული უნდა იყოს ამოცანები, რომლებსაც ვიხილავთ, ყველა ჩვენგანმა მტკიცედ იცის: ჩვენი მიზნების სიწმინდე და კეთილშობილება, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, მთელ მშვიდობისმოყვარე და პროგრესულ ძალებთან ურღვევი კავშირი — ყოველივე ეს ერთად აღებული კომუნიზმის მშენებლობაში, სოციალისტური პროგრესისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებების საიმედო გარანტიაა. (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო! (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ სადღეგრძელო:

— გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს! (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

— გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან პარტიას — ლენინის პარტიას! (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

— ახალ გამარჯვებებს ვუსურვებ ხალხებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში! (ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

— გაუმარჯოს მეტიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში! (ᲛᲔᲭᲣᲮᲐᲠᲘ, ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲢᲐᲨᲘ).

* * *

დარბაზობამ გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობის მონაწილეთათვის გაიმართა ხელოვნების ოსტატთა საზეიმო კონცერტი. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-778“ და „კოსმოს-779“

1975 წლის 4 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-778“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1975 წლის 4 ნოემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-779“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

კომუნიზმის გზით!

(დასასრული)

ლენინს, რომელიც დაუფიწყარ 1945 წელს ათოლილდა დამარცხებულ რაიხსტაგზე. აქვე არის იმ შენაერთების, ნაწილებისა და ხომალდების სამამაცო ალმები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. კოლონაში ოცდაათი დროშაა, ეს დროშები თითქოს განასახიერებენ განვლილ ოცდაათ მშვიდობიან წელს, რომლებიც დიდ სამამულო ომში მოიპოვა საბჭოთა ხალხმა.

ეი გვარდიული სატანკო ჩორტკოვსკის ორდენის ლენინის ორდენსანი, წითელდროშოვანი. სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენოსანი ბრიგადის დროშა. მისი მეომრები მონაწილეობდნენ მოსკოვის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში, იბრძოდნენ ორიოლისა და მცენსკის მისადგომებთან, ათავისუფლებდნენ უკრაინასა და პოლონეთს, მუსრავდნენ მტერს ვისლასა და ოდერზე. უტეადენენ ბერლინს. მის გვერდით მოაქვთ პირველი გვარდიული ვლუბოვის საარტილერიო ლენინის ორდენოსანი, წითელდროშოვანი, სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის ორდენოსანი გამრღვევი დივიზიის, უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის საბრძოლო დროშა. ეს შენაერთი მონაწილეობდა სტალინგრადთან ფაშისტთა ჯარების განადგურებაში, დნეპრის გადალახვაში. არტილერისტებმა გაარღვიეს მტრის დაცვა მდინარე ნოისზე, იერიშით ბიტანეს ბერლინზე, ათავისუფლებდნენ პრაღას.

მეგრძნეთა კოლონას სცენის სამხედრო აკადემიათა მსმენელების მწყობრი რიგები. ამ ადამიანებმა გულის ყარნახით აირჩიეს ახალგაზრდა მეომართა მეთაურობა და აღმზრდელის პროფესია. ისინი ყოველ წუთს მზად არიან კომუნისტური პარტიის ბრძანებით გამოვიდნენ სამშობლოს, სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესების დასაცავად. თვითეული მათგანისათვის გასაგებია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ყველაფერი, რაც ხალხმა შექმნა, საიმედოდ უნდა იყოს დაცული“.

სამხედრო აკადემიათა მარშს იწყებს მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ნაკადემიის კოლონა. იგი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის ულაზღაროდ ერთგულ მეომრებს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებს. აკადემიის ბევრი აღზრდილი გახდა ცნობილი მხედართმთავარი. რომლებმაც თავგამოჩინეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

მაგზოლეუმს ჩაუარეს ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშალის რ. ი. მალინოვსკის სახელობის ყაზანსტანარ ჯარების სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშალის ს. კ. ტიმოშენკოს სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ი. ე. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის მსმენელებმა. თვითეული მათგანის დროშას ამშვენებს სხვადასხვა ორდენების ლენტები, რომლებიც მოწვობს სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებას.

წითელვარსკვლავა თეთრ-ცისფერი დროშებით მოდიან კალინინგრადის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის აღსაზრდელები. მათ წილად ხვდათ პატივი წითელ მოედანზე წარმოედგინათ სახელგანთქმული საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

მწყობრად მოაბიჯებენ ორგზის ორდენსანი გვარდიული შინაერთის მედესანტე პარაშუტისტები.

მედესანტეებს სცენიან მოსკოვის უმაღლესი სასაზღვრო საშეთაურო სასწავლებლის კურსანტები, წითელდროშოვანი შაგი ზღვის ფლოტის საზღვაო ქვეითი პოლკი, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი წითელდროშოვანი დივიზიის ჯარისკაცები და ოფიცრები. ტრიბუნაზე შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან მოსკოვისა და კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების აღსაზრდელებს, ლენინგრადელ ნახიმოველებს.

მოდის კიდევ ერთი კოლონა — მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის საერთო-საჯარო სამეთაურო სასწავლებლის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძველი სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. იგი შეიქმნა მოსკოვის პირველი რევოლუციური მეტაფიზიკურ-ფილოსოფიური სკოლის ბაზაზე, რომელიც 1917 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით.

სამხედრო ორკესტრი მფრდნის სიღრმისაკენ მიემართება. იწყება საბრძოლო ტექნიკის მარში. ავტანტრანსპორტერებით მოდიან ტანკის მ. ი. კალინინის სახელობის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენსანი გვარდიული მოტომსროლელი დივიზიის ქვეგანყოფილები. სახელოვანი გზა განვლო ამ შენაერთმა, დივიზიის ძალაებმ და ქვეგანყოფილებ იბრძოდნენ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე და ყველგან გვარდიულად ასრულებდნენ საბრძოლო დავალებებს, ტანკელებმ, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საკაკ XXV ყრილობის აღსანიშნავად, წარმატებით ამთავრებენ 1975 წელს. მათი ნახევარზე მეტი საბრძოლო და პოლიტიკური სწავლების ფრიადოსანი გახდა. 76 პროცენტი კლასის სპეციალისტია.

არტილერიის შემდეგ მოდანზე გამოდიან სპეციერო თავდაცვის სარაკეტო ჯარები ეფრცხილსფერი დანადგარები. ყოველგვარ ამინდში, დღისით და ღამით ცავენ ისინი სამშობლოს მშვიდობიან ცას. საჰაერო თავდაცვის ჯარებს შეაინაგზაზე აქვთ მართული რაკეტების ავტომატიზებული კომპლექსები, დამკერი ინოვაციამანადგურებები, თანამედროვე რადიოლოკაციური ტექნიკა.

სამხედრო პარადზე წარმოდგენილი იყო საბრძოლო სარაკეტო ტექნიკის ცალკეული ნიმუშები. ტექნიკის მარში დაამთავრა სახელეთო ჯარების რაკეტების კოლონამ.

სამხედრო პარადი მთავრდება ათასსაყვირიანი გაერთიანებული ორკესტრის სიმფონიმ მარშით.

რამდენიმე წამის განმავლობაში წითელ მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. და აი, ისტორიული მუზეუმის შენობის მხრიდან გამოჩნდა დროშების, წითელი ალმებისა და ტრანსპარანტების ზღვა. მოდის დედაქალაქის ახალგაზრდობა — მუშები და სპეციალისტები, სტუდენტები, ტექნიკუმებისა და პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები. მათი მაშინ, საბჭოთა პატრიოტიზმის, ეკონომიკური და ელექტრული მშენებლობის ბრიგადების შესრულებაში, საკაკ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული ბრიგადის პროგრამის განხორციელებაში მიღწეულ წარმატებათა მკაფიო დემონსტრაციაა.

ფერად-ფერადი სპორტული ალმებით მოდის სსრ კავშირის არმიის. ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნიბაყოფილობითი საზოგადოების კოლონა. მის რიგებში მოჩანს ტრანსპარანტი: „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათა-წმიდა ვალია“.

წითელი მოედანი მარშ-პარადის მონაწილეებით აივსო. გაისმის. შეძახილები სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, სოციალისტური სამშობლოს პატივსაცემად. ქალაქელებისა და ჭაბუკების მწყობრი წრის უზარმაზარ ციფრს: 25. ახალგაზრდობა წარმოთქვამს: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდება! დიდება!“. მოედანზე გუგუნებს მძლავრი „ურა“. პიონერებმა და ოქტომბრელებმა მაგზოლეუმს მიაშურეს. მათ აირბინეს ცენტრალურ ტრიბუნაზე და ყვავილები და ალისფერი სადღესასწაულო ბაფთები გადასცეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

წითელი დროშებისა და ალმების ზღვად მოეფინა მოედანს დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონები. მოდიან მოსკოვრეცკის, პროლეტარის, ლენინის, ფრუნზეს, სვერდლოვსკის, ძერჟინსკის, ბაუმანის, კალინინის რაიონების მშრომელები.

ახლანდელი დიდი ოქტომბრის იუბილე აღინიშნება სკკპ XXV ყრილობის წინ. მოსკოველთა, მთელი ქვეყნის მშრომელთა სადღესასწაულო შრომითი ვახტი გახდა მნიშვნელოვანი წელილი პარტიული ყრილობისათვის მზადებაში. კოლონებს მოაქვთ მოსკოველთა შრომითი გამარჯვებების პატაკები. ინდუსტრიულმა დედაქალაქმა უკვე შეასრულა ხუთწლედი პროდუქციის წარმოებების საერთო მოცულობის მიხედვით. წარმატებით დამთავრდა ათი თვის ვადა.

პირველთა შორის არიან წითელი პრესნიას — ამ რაიონის წარმომადგენლები, სადაც 70 წლის წინათ დაიწყო ხალხის დიდებული შეიარაღებული აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ. იგი გახდა მზვერვალი 1905 წლის რევოლუციისა. რომლის ჭარბეცებში იშვა ისტორიაში მანამდე არნახული პოლიტიკური ორგანიზაციები — სობჭოები. დიდმა ვ. ი. ლენინმა ამ ორგანიზაციებში განჭვრიტა ახალი, სახალხო ხელისუფლების ნამფეში. წითელპრესნელები წმიდად იცავენ დ. ა. ამრაელებმ ბარიკადა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

წითელი პრესნია დღეს — ეს არის მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი ქარხნები „1905 წლის რევოლუციის ხსოვნა“, „კრასნაია პრესნია“, „პროლეტარული შრომა“. წითელი პრესნია — ეს არის ავტომატური ხაზები, სამსხვერო მანქანები, ელექტრომოტორები, ფეხსაცმელი, ქსოვილები, სასურსათო საქონელი.

მოედანზე არიან კომბინატ „ტრიუხგორნაია მანუფაქტურის“ თანამრომლები. მათ შორის ათასზე მეტმა შეასრულა ხუთწლედი პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიხედვით. დამატებით „გამოშვებულია ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადი და ნაგლინი.

დემონსტრაციის მონაწილეთა რიგებში მოჩანს ელექტრომანქანათაშენებელი ქარხნის „დინამოს“ ემბლემა. ამ საწარმოს კოლექტივი ინდუსტრიული მოსკოვის სიამაყეა. დინამოელებს შრომითი წარმატებები მიეწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მისალმების გულთბადმა სიტყვებმა ძალღონე და ენთუზიაზმი შემატა მათ. გალდებულებებით დასახულ ჯადოს ერთი თვით ადრე შეასრულა ქარხანამ პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლედის დავალება. დასახულია დეკემბრის დამლეგამდე დამატებით გამოუშვან 20 მილიონზე მეტი მანეთის ელექტრომოტორები და სხვა ნაკეთობები.

„სობჭოთა მეცნიერებო! ინყინრებო და ტექნიკოსებო! ყოველნაირად დაჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამაღლეთ სამეცნიერო და კონსტრუქციულ ნამუშევართა დონე!“ — ასეთი ტრანსპარანტი მოაქვთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის — ნ. ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტებსა და მასწავლებლებს. მნიშვნელოვანია ბაუმანელთა წვლილი სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სასწავლებელს



მოსკოვი, 1975 წლის 7 ნოემბერი. ჩვენი ქვეყანა დედაქალაქში გაიმართა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 58-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. **სურათზე:** მარცხნიდან — სარაკეტო ტექნიკა პარადზე. დედაქალაქის მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

საკინფორმის ტელეფოტო.

შემოქმედებითი ურთიერთობა ექვს ჩვენი ქვეყნის 171 საწარმოსთან და დაწესებულებასთან. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი ერთ-ერთია მოსკოვის ცხრასაზე მეტი ინსტიტუტიდან, 1100 ათასზე მეტი სატვირთო ავტომობილი, 15 მილიარდ მანეთისაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ისეთი დამპარები, როგორიც მეცხრე ხუთწლედშია, არ ახსოვს ჩვენს სოფელს.

დემონსტრაციაზე შრომითი პატაკებით გამოვიდნენ ოქტომბრის რაიონის მშრომელები. რაიონის ყოველმა მესამე საწარმომ გადააჭარბა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ხუთწლედის ფონდ-ფასოლი ციფრს. ექვსი ათასმა მუშამ დაამთავრა ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

რაიონის ქოლონაში მოდიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ორასორმოცდაათი დაწესებულებიდან ერთ-ერთის — ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები. მათ მოაქვთ წიგნის უზარმაზარი მაკეტი. მის ფურცლებზეა ციფრი „250“ და გამოსახულია ორი ლენინის ორდენი. ასეთი ჯილდოებით აღინიშნა საბჭოთა მეცნიერების შუბის თვალსაჩინო დამსახურებები. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250-ე წლისთავი ქვეყანამ აღნიშნა როგორც ეროვნული კულტურის დიდი დღესასწაული, როგორც საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება.

წითელი დროშების სპატიო ესკორტით მოდადანზე გამოჩნდა უზარმაზარი სფერო — ცისფერი პლანეტა დედამიწა. მას შემოვლებული ალვის ლენტი წარწერით: „თანამშრომლობა მშვიდობის საკეთილდღეოდ!“ დედამიწას თავს დაჰფრინავს ორი ხომალდი — საბჭოური „სოიუზი“ და ამერიკული „აპოლონი“. ისინი ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს და ერთდროულად ერევიან ერთმანეთში. ეს ამბავი ასევე ჩვენი ქვეყნის 171 საწარმოსთან, სტუდენტებსა და დოწესებულებებსთან.

მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი ერთ-ერთია მოსკოვის ცხრასაზე მეტი ინსტიტუტიდან. ინსტიტუტი — ეს ნიშნავს ინჟინერ-ტექნიკოსთა ... ინჟინერ-ტექნიკოსთა ... ინჟინერ-ტექნიკოსთა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი, 1975 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავის დღესასწაული. სურათზე: რუსთაველის პროსპექტის ცენტრალურ ტრიბუნაზე. ვლ. გინზბურგის და მ. კვირიკაშვილის ფოტო.

დიდი ოქტომბრის დროშით

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

ოქტომბრის ზეიმს განსაკუთრებული ნიშნები აქვს. საქართველოს, ისევე როგორც მთელ ჩვენი ქვეყნის მშრომელები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს შეხვდნენ უდარესად დიდი შრომითი და პოლიტიკური ამოცანების ვითარებაში, რომელიც შედეგია მხსწრაფებისა — მოუმზადონ სკკპ XXV ყრილობას ღირსეული საჩუქრები, წარმატებით დამთავრონ წლევანდელი წელი და მოლიანად ხუთწლედი, ისინი მხურვალედ ეხმაურებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის! იბრძოლეთ 1975 წლის ბეჭედი ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის!

გვიანრის ბეჭედი წარმატებები, რომლებითაც რესპუბლიკის მშრომელები შეხვდნენ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. რესპუბლიკის მრეწველობამ ათ თვეში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 179 მილიონ მანეთზე მეტი მთლიანი პროდუქცია. ამას შეუპოვარი, თავდადებული შრომით მიაღწია ჩვენმა სახელოვანმა მუშათა კლასმა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

დამკვრელურად, მართლაც რომ ემირეულად იმრომეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მიგალითად, საქართველოს მეჩაიეებმა სახელმწიფოსათვის ბოსახსნოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს — ჩაბარეს 334 ათასი ტონა ფოთლი გეგმით გათვალისწინებული 295 ათასი ტონის ნაცვლად. მიღწეულია წარმატებები სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

საყოველთაო პატრიოტული აღმავლობის ატმოსფერო, რომელიც საქართველოში სუფევს, ბაყოფილ ადასტურებს, რომ მშრომელები მზრუველად და ერთსულოვნად უჭერენ მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთლიანად იწონებენ და მხარს უჭერენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობას, საქართველოს მშრომელები ენერგიულად მზადყოფნას, ყველანაკ მოაზმარონ თავიანთი ძალღონე, ცოდნა, ენერგია კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, პარტიის გრანდიოზული გეგმების განხორციელებას.

...ლამაზად არის გაფორმებული სადღესასწაულო თბილისი. მისი ქუჩები და მოედნები მორთულია ეროვნული დროშებით, ნაირფერი ტრანსპარანტებითა და პანოებით. ყველგან მარქსის, ენგელსის, ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები.

მთავრობის სახლთან ტრიბუნებზე შეკრებილან შრომის ჯმირები, სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, სოფლის მეურნეობის საუკეთესო ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან პ. გ. გელაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. კოკინაძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. უარაყარაშვილი, ვ. კ. შარტავა. მათთან ერთად არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბარია, ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ა. მ. ოვერჩუკი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ი. ლობჟანიძე.

...დილის ათი საათია. რუსთაველის პროსპექტზე დიდ მანქანათა შემოდის ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი, რომელიც პარადს იღებს, მან მიიღო პარადის სარდლის — ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილის გენერალ-ლეიტენანტ დ. ს. სუხბრუკოვის პატაკი, მისი თანხლებით გაემართა ჯარებისაკენ, ჩამოიარა საპარადო მწყობრს და მიულოცა დიდი ოქტომბრის 58-ე წლისთავი. პასუხად ჯარისაკცთა მწყობრში სამჯზის ჟეს მძლავრი „ვაშა!“ ჯარების შემოვლის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი ადის ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ჯერ ცხლისფერი ფანფარები გაუბუქებენ: „ისმინეთ ყველამ!“

ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პ. ვ. მელნიკოვი სიტყვას ამბობს.

დიდი ოქტომბრის დღესასწაული, თქვა მან, წლიურს აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის მზადებით.

საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ეროვნულად და კულტურულ მშენებლობაში საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმა.

შემდეგ სარდალი აღნიშნავს, რომ ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, ეგებებიან რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას, დაუცხრომლად ამაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას. განამტკიცებენ მხედრულ დისციპლინას, დაძაბული მხედრული შრომით სრულყოფენ თავიანთ საბრძოლო ოსტატობას.

გენერალ-პოლკოვნიკმა პ. ვ. მელნიკოვმა გამარჯვება უსურვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს, დიდ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების შთამაგონებელსა და ორგანიზატორს.

პროსპექტზე კვლავ ახალი ძალით ქუხს სამჯზისი „ვაშა!“. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. ნაკრები სამხედრო ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნებს.

გაისმის საზეიმო მარში და პარადს ხსნის მედოლეთა ასეული.

უნაკლო მწყობრით ჩიუარეს ტრიბუნებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების შტაბისა და სამმართველოს ოფიცრებმა. ესენი არიან თავიანთი ხალხისა და კომუნისტური პარტიის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, მეომართა უნარიანი ამბზრდელები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტრადიციების ღირსეული განმგრძობნი.

შემდეგ მოდიან პარადზე ჩამოსული სამხედრო მფრინავები — ზებგერით სიჩქარეთა და ღრუბლისმიერ სიმაღლეთა ოსტატები, რიული თანამედროვე ტექნიკის მცოდნენი. ყველა ისინი საუკეთესო სპეციალისტები არიან.

თბილისში პარადების ისტორიაში მესამედ მონაწილეობენ სპრინიმო სვლაში პრაპორშჩიკები. მათი სახით ჩვენს არმიას ჰყავს ოფიცერთა ნამდვილი სრულფასოვანი თანაშემწენი პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

პრაპორშჩიკებს სცვლიან ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლებლის — თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები. ახლა ამ სასწავლებელში იზრდებიან და ეკაჟცდებიან 20-ზე მეტი ეროვნების კურსანტები. მათ ცოდნას აძლევენ და ზრდიან უნარიანი მეთაურები და მასწავლებლები.

პარადში მონაწილეობენ გვარდიული ვენის სასწავლო მოტომსროლელი წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი პოლკის მეომრებიც, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ.

პროსპექტზე შემოდიან საპაერო მედესანტენი — უშიშარი მეომრები, რომლებიც მუდამ სიამაყისა და აღტაცების გრძნობას გვგვრიან სანიმუნო გაწვრთნილობითა და ვაჟკაცური ეერით.

მწყობრში არიან პარადზე ჩამოსული ბრანდენბურგის წითელდროშოვანი ორგზის აღქსანდრე ნევსკის ორდენოსანი და წითელი ვარსკვლავის ორდენოსან მეკავშირეთა პოლკის მეომრები. ოქტომბრისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ დიდებული წარმატებები მოიპოვეს. პოლკის ყოველი მესამე მეკავშირე სწავლის ფრიადოსანი კლასის სპეციალისტი გახდა.

მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფმა. მათ მიჰყვებიან მწვანექუდიან მეომართა მწყობრი რიგები. ესენი არიან მესაზღვრენი — ჩვენი სამშობლოს ხელშეუხებელი საზღვრების ფხიზელი გუშაგები.

საპატიო პარადი მთავრდება. პროსპექტზე ყოერს მარში „დიდება სამშობლოს“. ტრიბუნებს ჩაუარა სამხედრო ორკესტრმა.

პროსპექტზე სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ გაისმის თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო დემონსტრაციის დაწყების სიგნალი.

მსვლელობას ხსნის ლამაზად გაფორმებული ავტომობილი. კომპოზიციაშია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი ერთგულნაირად ეუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მრავალმხრივ მიზანდასახულ საქმიანობას სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის. ჩვენ მხურვალედ მივესალმებით ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის შედეგებს.

ბროსპექტზე შემოდიან 26 კომბინატის რაიონის დემონსტრატთა კოლონები. კვლავ პლაკატები შრომითი გამარჯვებების შესახებ: სიტყვა შეგასრულეთ — ბარის 10,5 მილიონი ტონეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქციას! წლის დამლევამდე იქნება 12 მილიონი! — ასეთია ამ რაიონის შრომითი კოლექტივების ახალი ვალდებულება.

წითელ ალმები ფრიალებს ქალაქის ყველაზე ახალგაზრდა რაიონის — საკარხნო რაიონის მშრომელთა კოლონებში. მათს რიგებში არიან საქართველოს მუშათა კლასის სახელგანოქმოული რაზმის — დიმიტროვის სახელობის საკარიერო ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები. ამ დღეებში საწარმომ უკვე მიაღწია ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს. ამ კოლექტივის ანგარიშშია ბევრი საყურადღებო თაოსნობა, რომლებსაც ფართოდ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის მრეწველობის მშრომელებმა. ერთი მათგანია სოფლისათვის აქტიური საშეფო დახმარება. დიმიტროველებმა, შეასრულეს რა სართიჭალის მეძროეეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობასთან თანამეგობრობის ხუთწლიანი ხელშეკრულების ყველა პუნქტი, დადეს ახალი ხელშეკრულება მეათე ხუთწლედისათვის. წლეულ კარგად იმუშაეს რაიონის სხვა საწარმოებმაც — ავეჯის კომბინატმა „ვანთიადმა“ და გრენილი ავეჯის კომბინატმა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი.

გამარჯვებათა ციფრები, წარმატებათა ამსახველი ცნობები წარწერილია პლაკატებზე და ტრანსპარანტებზე, რომლებიც მოაქვთ ორკონიკიძის რაიონის მშრომელებს. შესრულდა წლიური სოციალისტური ვალდებულებები. ხუთწლედის დავალებები შეასრულა ცხრა სამრეწველო ორმა ავტოსატრანსპორტო საწარმომ, ხუთმა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციამ, ათასზე მეტი წარმოების მუშაკი უკვე ერთ წელზე მეტია შრომობს მეათე ხუთწლედის ანგარიშში.

მსვლელობას ამთავრებს თბილისის სპორტსმენთა და ფიზიკულტურელთა კოლონა.

მეცხრე ხუთწლედის დამლევს შრომითი წარმატებებით ეხვდებით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ვიბრძვით, რათა მტკიცე საძირკველი შეექმნათ მომავალ ხუთწლედში უფრო ნაყოფიერი შრომისათვის. ოქტომბრის დღეები, დიდი ლენინის დღეები — გვიცისკროვნებს ჩვენს გზას, — ამბობენ თბილისელები, და ეს მათი მტკიცე გადაწყვეტილება, თავიანთი მომავალი წარმატებების რწმენა ნათლად გამოჩნდა საზეიმო დემონსტრაციის დროს. **(საქინფორმი).**

მოგვიმე საქართველო

დიდი ზეიმით აღინიშნა ოქტომბრის რევოლუციის 58-ე წლისთავი საქართველოში. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გამართულმა მრავალათასიანმა დემონსტრაციებმა დაადასტურა საქართველოს მშრომელთა მზადყოფნა წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დავალებები, ღირსეული საჩუქრებით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობას.

სოხუმი. აფხაზეთის მშრომელები დიდებული შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ისინი გულმოდგინედ ემზადებიან პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შესახვედრად.

აფხაზეთის მრეწველობამ უკვე უმატა-ეა სამშობლოს პროდუქციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

დღესასწაულის ღილის კამეჩმა მზემ გამოანათა. ამან უფრო მიმზიდველი ელფერი შემატა აფხაზეთის დედაქალაქს სოხუმს.

დილის 11 საათზე დაიწყო ქალაქის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაცია. გ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე მოემართებიან ლამაზად გაფორმებული კოლონები.

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელების კოლონებს მეთაურობენ სოხუმის სამეურნეო, და თამბაქოს ფაბრიკების, ტეკნინის, ტანსაცმლის და ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატების, საკონსერვო ქარხნის, ქარხანა სოხუმხელსაწყოს და სხვა საწარმოთა კოლონები, რომლებსაც თან მოაქვთ თავიანთი პროდუქციის ნიმუშები.

ბათუმი. სამგზის ორდენოსანი საბჭოთა აჭარის მშრომელები დიდი წარმატებებით შეხვდნენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 58-ე წლისთავს. მეცხრეხუთეულებმა, მეჩაიეებმა, მეთამბაქოეებმა ხუთწლედი ოთხ წელზეზე შეასრულეს. მრეწველობის მუშაკები დადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მათ მარტო წლეულს 11 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს.

აჭარის დედაქალაქი ბათუმი საზეიმოდ არის მორთული. საოქტომბრო პარადს ხსნის ძველი რევოლუციონერების კოლონა, ის ადამიანები, რომლებიც იარაღით იბრძოდნენ გამარჯვებისათვის.

დემონსტრანტთა კოლონებს მოაქვთ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — მარქსის, ენგელსის, ლენინის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეთა პორტრეტები, ტრანსპარანტები და მაკეტები, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში აჭარის მშრომელთა წარმატებებს.

ცხინვალი. დემონსტრაციის დაწყებამდე ცხინვალის ქუჩები და მოედნები ქალაქის მშრომელებით აივსო.

ქალაქის თეატრალურ მოედანზე საღღესასწაულო დემონსტრაცია ხსნიან ქალაქის პიონერები და მოსწავლეები. შემდეგ მოედანზე შემოდიან ტექნიკუმების მოსწავლეები და პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ქალაქის სამრეწველო საწარმოთა წარმომადგენლები, რომელთა კოლექტივებმა წლის დამდეგიდან სამშობლოს 2 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია მოსცეს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქსა და სოფლის მშრომელებმა ცხადყვეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო შეკავშირება.

ჟუთაისი. წლევანდელ საოქტომბრო დღესასწაულს ბრწყინვალე გამარჯვებებით შეეგებენ ქუთაისელი მშრომელები. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 6 ნოემბერს სამშობლოს უპატაჟეს პროდუქციის წარმოების შეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება.

სადღესასწაულო დემონსტრაცია დილის 10 საათზე დაიწყო. ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ ტრიბუნას პირველმა ჩიუარა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა, ქალაქის მოწინავე ადამიანთა კოლონამ.

ტრიბუნას მწყობრი ნაბიჯებით ჩაუარეს ტრაქტორმშენებლებმა, ელექტრომექანიკოსებმა, მეაბრეშუმეებმა, ფელეთოფრენებმა, მკერავებმა, მემაუდეებმა...

მოპოვებული წარმატებები დროშების ტყეთა შრიალში უპატაჟეს ავგრეთვე სამშობლოს კულტურის, ხელოვნების, მედიცინის, ტრანსპორტის, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა.

თბილისი. 1975 წლის 7 ნოემბერი. სურათებზე: თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე.

ვლ. გინზბურგისა და ს. კილაძის ფოტო.

50 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

ოქტომბრის პირმფო

ნლევანდელი წელი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. იგი ხასიათდება საბჭოთა ხალხის მძლავრი პოლიტიკური და შრომითი ღმაგლობით, რასაც საფუძვლად უდევს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის მზადება.

მილიციის მუშაკები ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა ხალხის ამ მიღწევებში წაქსოვილია ჩვენი მძიმე, თავდადებული, სიცოცხლისათვის საშიში, მაგრამ ქვეყნის, საბჭოთა მოქალაქეების მშვიდობიანი და ნათელი ცხოვრებისათვის საჭირო შრომა.

დღეს, საბჭოთა მილიციის 58-ე წლისთავზე, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ვ. ი. ლენინის ინიციატივით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამე დღეს შექმნილი მუშურ-ელეხური მილიცია თავისი არსებობის პირველი დღიდანვე წარმატებით ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს. დიდი ლენინის მითითებით, ფ. ძერჟინსკის, გ. პეტროვსკის და სხვა რევოლუციონერთა ხელმძღვანელობით საბჭოთა მილიცია შეიქმნა, ჩამოყალიბდა და წარმატებით იცავდა ოქტომბრის მონაპოვარს. ნახევრადმშიერნი და ცუდად ჩაცმულნი, მაგრამ ბოლშევიკური სიმართლითა და ნათელი რწმენით შეიარაღებული პირველი მილიციელები თავგანწირვით ებრძოდნენ ყაჩაღებსა და დამანგრეველებს, მესაბოტაჟეებსა და ხულიგნებს, რევოლუციის სხვა მრავალრიცხოვან მტერს.

საბჭოთა მილიციამ გმირული ფურცელი ჩაწერა სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ისტორიაში. შინაგან საქმეთა ორგანოების ბევრი თანამშრომელი ფრონტებსა და ზურგში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა. მილიციის მუშაკები მამაცურად იბრძოდნენ მოსკოვსა და სტალინგრადთან, კიევსა და კურსკთან, ეიკაკიურად უტევდნენ ბერლინს.

ფაშისტურ ვერმანიასთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, მტრის აგენტურის, დივერსანტებისა და ჯაშუშების გამოვლენის, ზურგში მტკიცე რევოლუციური წესრიგის უზრუნველყოფისათვის საბჭოთა მილიციის 270 ათასზე მეტი თანამშრომელი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო მათ შორის 30-ს — მამაცთა შორის მამაცს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომის ნეკესტთა შორის არის ჩვენი თანამემამულე, თბილისის მილიციის სკოლის აღზრდილი, ქ. თბილისის პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ყოფილი თანამშრომელი გალაქტიონ რაზმაძე — ამ ლეგენდარული ბატალიონის მეთაური, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განმა გადალახა დნეპრი.

ამ საიუბილეო დღეს არ შეიძლება კიდევ ერთხელ არ მოვგონოთ ჩვენი დაღუპული მეგობრები, ნაბრძოლი პოსტზე დაცმული მილიციის უფროსი ლეიტენანტი გიორგი ჯაფარიძე, ეცხლთან ჭიდილში დაღუპული მამაცი მეხანძრე ყარამან ტატაევი, დამნაშავეებთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაცემული ჩეკისტები არჩილ და გაიოზ ამკარიანები, ბორის მშვილდაძე, ვალერი ტუეტა, ვლადიმერ წულუკიძე, იასონ პაპაიური, ლეგან მგალობლიშვილი და სხვები.

ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის სრულყოფაზე ცხოველყოფელი გავლენა მოახდინა ზემდგომი ორგანოების დადგენილებამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის მდგომარეობის შესახებ. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები სულ უფრო მეტ ყურადღებასა და დახმარებას უწევენ შინაგან საქმეთა ორგანოებს და ზრუნავენ მისი კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და კომუნისტებითა და კომკავშირლებით, მშრომელთა კოლექტივების საუკეთესო წარმომადგენლებით დაკომპლექტებისათვის.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და მილიციის ორგანოების ერთობლივი მუშაობის საუკეთესო საშუალებაა საყრდენი პუნქტები, სადაც გაერთიანებული ძალებით ხდება პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ კომპლექსურ ღონისძიებათა ჩატარება ლოთობის, ხულიგნობის, ოჯახური, მეზობლური კონფლიქტების, ამორალური ქმედების და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღსაკვეთად.

აღნიშვნის ღირსია რესპუბლიკის ის საუკეთესო საყრდენი პუნქტები, რომლებმაც ნაყოფიერად ითრომეს თავიანთ მიკრორაიონებსა და რაიონებში დიდი კულტურისა და სანმეშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

სამგალითია ქ. თბილისის ლენინის რაიონის მეორე სახლმმართველობასთან არსებული საყრდენი პუნქტის საქმიანობა. მისი ხელმძღვანელი ო. თოლორაია საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიული კომიტეტის მდივანია.

მილიციის საიუბილეო დღეს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები დიდ კმაყოფილებას გამოთქვამენ თავიანთი ნებაყოფლობითი თანაშემწეების — სახალხო რაზმელებისადმი, კომკავშირის ოპერატიული რაზმებისადმი, საყრდენი პუნქტების აქტივისადმი, ყველა მათდამი, რომლებიც, ხელმძღვანელობენ და დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობითა და გულის კონსახით, აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი სუფევდეს.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციებთან ერთად, მილიციის ორგანოები სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ პროფილაქტიკასა და აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარებას, მოქალაქეთა მიერ თავიანთი მოვალეობებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა კანონებისა და სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით აღზრდას. ასეთი მუშაობისათვის მილიციის მუშაკი დღეს თავისი საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გულისხმიერი პედაგოგი და აღმზრდელი, მართლწესრიგის დამცველი ჯარისკაცი უნდა იყოს. ასეთი თვისებებით ხასიათდებიან შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები: მილიციის პოდპოლკოვნიკი ვ. კარანაძე, ლეიტენანტები რ. გვენდაძე, ტ. სიდამონიძე და გ. კაპანაძე.

მილიციის თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომა გამოიხატა რესპუბლიკის საერთო ოპერატიული მდგომარეობის გაჯანსაღებით. საკმარისია თქვას, რომ რესპუბლიკაში დანაშაულის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება. მაგალითად, მიმდინარე ხუთწლედში, წინა ხუთწლედთან შედარებით, სისხლის სამართლის დანაშაულის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო წლებში განხორციელებული რადიკალური ღონისძიებების შედეგად გამოვავლინეთ მსხვილი საქმოსნები, კომბინატორები, მექრთამეები, სპეკულანტები. მარტო წლეულს ფარდა ეახადათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში მოკალთებულ საქმოსნებს.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტები მხილებული-ა ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში, ვეურკანის საკონსერვო ქარხანაში, აბაშის დამზადების კანტორაში და ზოგიერთ სხვა საწარმოსა და დაწესებულებაში. მექრთამეობისათვის მხილებული და პასუხისგებაში მიცემული ზოგიერთი თანამდებობის პირი.

მილიციის საქმიანობის დონის ამაღლების, დანაშაულობის აღმოფხვრისა და მართლწესრიგის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობაა მილიციის სხვადასხვა სამსახურის მუშაკთა პროფესიული ოსტატობის კვეთრი ამაღლება, მათი შემდგომი სპეციალიზაცია, მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფა, პრაქტიკაში მეცნიერების უახლესი მიღწევების ფართოდ დანერგვა, საინფორმაციო-ანალიზური მუშაობის გაუმჯობესება.

ამ საიუბილეო დღეებში ჩვენ გვსურს ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ხატოვანი გამოთქმა, რომ მილიციის არა აქვს დასვენებისა და სადღესასწაულო დღეები. ახლაც ქუჩებსა და მოედნებზე, რკინიგზისა და ავტოგაზღუბებში, გზებსა და საწარმოებში თავიანთ საბრძოლო პოსტებზე დგანან სამშობლოს ერთგული შვილები, მართლწესრიგის ფხიზელი ჯარისკაცები.

საქართველოს საბჭოთა მილიციის პირადი შემადგენლობა — პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგული, გმირული ტრადიციების კანონიერი და ღირსეული მემკვიდრე — კვლავაც მტკიცედ იდგება სოციალისტური მართლწესრიგის სადარაჯოზე, საქმის ეოფნითა და გმირული შემართებით დაიცავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ყველა ჯურის ანტისაზოგადოებრივი ელემენტ ბისაგან.

კ. კეთილაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი.

გუშინ საქართველოში

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა მშრომელთა საზეიმო დემონსტრაციები.

სურათებზე: მარცხნივ — სპორტსმენთა კოლონა თბილისში რუსთაველის პროსპექტზე; ზემოთ — მშრომელთა წარმომადგენლების სადღესასწაულო კოლონები სოხუმის ქუჩებში; მარჯვნივ ზემოდან — დემონსტრანტები ბათუმისა და ცხინვალის ქუჩებში.

ვლ. გინზბურგის („კომუნისტი“), ი. ჭოხონელიძის, ნ. ანასტასიევისა და ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მუშიდოგიანი შრომის სადარაჯოზე



ეს ფოტორეპორტაჟი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამორიგეო ნაწილშია გადალებული. სურათებზე: ზემოთ — მოძრავი მანევრირებული ჯგუფი ღებულობს სპეციალურ მარშრუტებს. შუაში — ოპერატიული ჯგუფი ქალაქის რუკაზე ამოწმებს მიღებულ ოპერატიულ დავალებას; ქვემოთ — სამორიგეო ნაწილის ოპერატიული ჯგუფი მიემგზავრება შემთხვევის ადგილზე.

ხ. ბილაძის ფოტო.



უკანასკნელ საათს
მსოფლიო დღეს

□ **ნიუ-იორკი.** ქალაქის ხელისუფლებამ დაიწყო შეტევა კულტურულ-სანახაობით დაწესებულებებზე იმ მიზნით, რომ თავი დააღწიონ ფინანსურ კრიზისს, რომელიც ნიუ-იორკს გაკოტრებით ემუქრება. ამ კამპანიის მთავარი მსხვერპლი ხდება საჯარო ბიბლიოთეკები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები, ხელოვნების ფესტივალები.

□ **ნიუ-იორკი.** (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერგალური ასამბლეის პირველი კომიტეტი (პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტი) განაგრძობს განიარაღებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსის განხილვას.

განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის ღონისძიებებმა უნდა მოიცვან არა მარტო სამხედრო მოქმედების წარმოების თანამედროვე საშუალებები და მეთოდები, განაცხადა თავის გამოსვლაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგატმა რ. ვეჰმარმა, არამედ ისინი მიზნად უნდა ისახავდნენ აგრეთვე ახალ დამანგრეველ სახეობათა იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შექმნის თავიდან აცილებას.

□ **დელი,** (საკადესი). ბანგლადეშის ახალმა პრეზიდენტმა ა. მ. საიემმა რადიოთი გამოაცხადა პარლამენტის დათხოვნის შესახებ და თქვა, რომ ახალი არჩევნები მოეწყობა 1977 წლის თებერვალ-მარტში „ან უფრო ადრე, თუ შესაძლებელი იქნა“, აცხადებენ ბანგლადეშის რადიოს დამოწმებით საგენტოები იუნი და პრეს ტრანს ოფ ინდია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა დროებითია.

□ **ბანგკოკი,** (საკადესი). დაკვდან ბანგკოკში თვითმფრინავით გაქცეულმა ჩვიდმეტმა ბანგლადეშელმა ოფიცერმა გუშინ ტალანდში ამერიკის საელჩოს მიმართა თხოვნით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მისცენ პოლიტიკური თავშესაფარი. ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული 15 აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების დროს პრეზიდენტ შეიხ მუჯიბურ რაჰმანის მკვლელობასთან და დაკავ ცენტრალურ საპყრობილეში მისი უახლოესი თანამებრძოლების ამასწინანდელ დახვრეტასთან. ჯგუფის მეთაური პოდპოლკოვნიკი ს. ფარუკი გადამდგარი პრეზიდენტის კ. მ. აჰმედის დისწული და უახლოესი თანაშემწეა.

წისფერი ეპრანი მთაში

ქვირუანი საოქტომბრო საჩუქარი მიიღო წინასადღესასწაულო დღეებში ონის რაიონის ჯეჯორის ხეობის მთის სოფლების მოსახლეობამ. ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს ინიციატივით და საქართველოს ტელევიზიის მუშაკთა აქტიური დახმარებით სოფელ ჩორდიდან დამორებულ მწვერვალზე აღმართა სატელევიზიო ანძა, დაიდგა ტელეგადამცემი სადგური. ირის და ლესორის მუშაკთა დასახლებებში, სოფლებში ჩორდში, ბაჯიხევში, ონჩეგში, ფსორში, ცხმორში, ჯაშკვაში, ფიფილეთში, წედისში აციახდა ცისფერი ეკრანი.

ახლა ჯეჯორის ხეობის მთის სოფლების მოსახლეობა კმაყოფილებით უყურებს მოსკოვისა და თბილისის ტელეგადაცემებს.

ნ. დუშუაშვილი.

ახალმოსახლეები ფეიმოგენ

თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშაკთა 108 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. მათთვის აშენდა სამი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ახალი ბინები მიიღეს შრომის ვეტერანებმა — მქსოველმა ტაკშირსკაიამ, ოსტატის თანაშემწემ რ. ბალიაშვილმა, მკერავმა, საქალაქო საბჭოს დეპუტატმა დ. მაკასარაშვილმა, გამომქრელმა, რაიონული **საბჭოს** დეპუტატმა გ. დორეულმა და მრავალმა სხვამ.

(საქინფორმი).

საიუბილეო კონფერენცია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს ინიციატივით გაიმართა ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეთა კონფერენცია, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსების 30-ე წლისთავს მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლვოვის, ტაშკენტის, ბაქოს და სამარყანდის უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ თანამშრომლებმა და ასპირანტებმა.

მოხსენებებში გაშუქებული იყო მაზლობელი და მორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობის, ეკონომიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურისა და ენის საკითხები.

მ. სახოკია.

მსოფლიოს პირველობა ჭადრაკში

ლღეს ბიჭვინთაში

ნონა გაფრინდაშვილისა და **ნანა ალექსანდრიას** მატჩის მეშვიდე პარტიაში მსოფლიოს ნიმპიონმა კვლავ მეფის წინა პაიკით დაიწყო თამაში, რაზეც ალექსანდრიამ ალიოხინის დაცვით უპასუხა. ამჯერად მეტოქეებმა გვიერდი აუარეს დებიტურად შესწავლილ ვარიანტებს და დაფაზე წარმოიშვა პრაქტიკაში იშვიათი პოზიცია, როგორც ბამოირკვა, ეს პოზიცია დამუშავებული აქვს ცნობილ ლატველ ოსტატს ვლადას მაკენასს.

სტრატეგიულად რთულ ვარიანტში ალექსანდრიას შეეფლო მოუვიდა, რამაც თეთრების სადებიუტო უპირატესობა შეიქმნა. შემდგომში თეთრები ამზადებდნენ შეტევას მეფის ფრთაზე. ამის სასუხად ალექსანდრიამ მეფე ცენტრში დატოვა და შეეცადა კონტრთამაში დაიწყო ლაზიერის ფრთაზე, სადაც მან გახსნა ხაზი.

პარტიის მეორე **ნახევარი** მეტოქეთათვის მცირე ციტნოტში მიმდინარეობდა. გაფრინდაშვილმა მოიგო პაიკი, მაგრამ ამასობაში შავების აქამდე პასიური ფიგურები გამოცოცხლდნენ. პარტია გადაიდო. პრეტენდენტმა ჩაიწერა 41-ე სვლა თუმცა თეთრებს ზედმეტი პაიკი აქვთ, პოზიცია მაინც მეტად მწვავეა და დეტალური ანალიზს საჭიროებს.

მეშვიდე პარტია
გაფრინდაშვილი — ალექსანდრია
ალიოხინის დაცვა

1. e4 ᲑF6 2. Ბc3 d5 3. e5 Ბe4 4. Ბce2 Ბc5 5. d4 Ბe6 6. f4 g6 7. ᲒE3 Ბg7 8. ᲚD2 b6 9. h3 e6 10. Ბf3 c5 11. g4 Ბc6 12. ᲒG2 ᲘD7 13. c3 ᲘC8 14. ᲘF2 ᲘE7 15. ᲘAD1 a5 16. 0—0 c4 17. Ბg3 b5 18. ᲘFE1 ᲘB8 19. Ბf1 b4 20. Ბe3 ᲘB5 21. ᲘG3 ᲚB6 22. ᲚF2 bc 23. bc 0-0 24. ᲘH4 ᲘIB8 25. ᲘE7 Ბ:e7 26. ᲚH4 ᲚD8 27. ᲚH6 Ბgh8 28. Ბg5 ᲚG8 29. ᲚH4 Ბc6 30. ᲘF1 ᲘB2 31. f3 gf 32. gf Ბe7 33. fe Ბ:e6. 34. Ბ:f7+ Ბ:f7 35. Ლ:e7 ᲘE6 36. ᲘF3 Ბh5 37. ᲘDf1 ᲚG6 38. Ბf8+ Ბ:f8 39. Ლ:f8+ Ბg8 40. ᲚF5 ᲚG3 41. ᲚF3 პარტია გადადიდა.

ამ პარტიის დამთავრება დღეს გაიმართება.

ბ. ბამრეკელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ფეხბურთი

ბოლო ტურის წინ

მხოლოდ 8 შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის 37-ე საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც, როგორც ცნობილია, პირველმა თბილისის „დინამომ“ დაამთავრა.

ჩემპიონი უკვე ცნობილია — კიევის „დინამო“. ვინ იქნება მეორე და მესამე პრიზიორი? ამას გავიგებთ ხვალ, როდესაც დონეცკსა და ტაშკენტში ერთმანეთს შეხვდებიან საპრიზო ადგილების პრეტენდენტები „შახტიორი“-„არარატი“ და მოსკოვის „დინამო“, რომელსაც ძნელი თამაში ელის ტაშკენტის „პახტაკორთან“. საინტერესოა, რომ მატჩი დონეცკში დაიწყება 3 საათით გვიან, ვიდრე ტაშკენტში. რჩება აგრეთვე პირველ სამეულში მოხვედრის კიდევ ერთი „თეორიული“ კანდიდატი — მოსკოვის „ტორპედო“, რომელიც 16 ნოემბერს სეზონის ბოლო მატჩს გამართავს ჩემპიონთან.

9 ნოემბრის ტაშკენტს, აგრეთვე „ზენიტი“-„ნენპრის“, „კარპატი“-ცსკა-ს და „ლოკომოტივი“-ჩერნომორეცის“ მატჩების შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი ლიგის მეორე „ზედმეტის“ გამოვლინებისათვის, რომელიც გაიზიარებს როსტოველთა ხვედრს.

რაც შეეხება ჩემპიონის დღევანდელ შეხვედრას მოსკოვის „სპარტაკთან“, აგრეთვე სკა-„ზარიას“ ხვალინდელ მატჩს, მათს შედეგებს ამ გუნდებისათვის პრაქტიკულად უკვე არავითარი მნიშვნელობა არა ნქვს.

ტელევიზია

8 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 ახალი ამბები — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.00—მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის გასართობი პროგრამა, 13.05 — „მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა“ — საზეიმო კონცერტი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.05 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.35 — კინონარკვევი, 14.45 — „ჩვენი სამეგობრო ნობათი“, 15.35 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მეგვეგებით ზლობინს“ (პრემიერა), 15.45 — „ადამიანი, მიწა, სამყარო“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — საბჭოთა კავშირის 1975 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები მუსიკალურ ხელოვნებაში (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სალუტი ოქტომბერს“, 18.00 — „აშკარა — დაუჯერებელი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „თეატრალური საღამო“, 20.10 — კონცერტი „შენ ხარ ვინახი“ — ფერადი გამოსახულებით, 21.10 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) II ტაიმი (გადმოცემა კიევიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ფოლიოს ჩემპიონის ტიტულისათვის ჭადრაკში, 22.40 — „საესტრადო კალეიდოსკოპი“.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კიში და ორჩანთა“, 19.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ბამი“, 20.20 — კინოკერტი, 21.15 — ქართული მხატვრული ფილმი „შეხვედრა წარსულთან“.

9 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — საბავშვო ფილმი, 11.20—მოსწავლეთათვის კონცერტი, 12.00 — „კინოს მოყვარულთათვის“, 13.00— „მუსიკალური კოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30—„კინოაფიშა“, 14.00 — ქართული მხატვრული ფილმი „ვერის უბნის მეოლოდიები“, 15.35 — საბჭოთა კავშირის 1975 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები ლიტერატურაში, ხელოვნებასა და არქიტექტურაში (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.20 — საბავშვო ფილმ გამომცემლობა ბავშვებისათვის— „ასფურცელა“. ფერადი გამოსახულებით, 17.10 — „ბუნების კარი“ — ფერადი გამოსახულებით, 17.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მე... მწყემსი“ (პრემიერა), 18.10 — „მოძმე“ ხალხთა ხელოვნება“ — პოლონური ფერწერა, 18.35 — საბჭოთა მილიციის დღე, 19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „არარატი“ (ერევანი) II ტაიმი (გადმოცემა დონეცკიდან), 19.45 — „მუსიკალური ფოსტა“ (ფერადი გამოსახულებით), 20.35 — კინონარკვევი, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — მხიბატურების საბტელევიზიო თეატრი „13 სკამი“ —ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სალამოს შეხვედრები“ — ფერადი გამოსახულებით.

მეორე პროგრამით

18.05 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.45 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მყუდრო სავანე“, 20.00 — კონცერტი, 20.50 — მხატვრული ფილმი „ბზა ლენინსაკენ“,

10 ნოემბერი

პირველი პროგრამით

16.50 — სტუდენტთათვის — ზოგადი ფიზიკა, 17.50 — კინონარკვევი „სიჩქარე“, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — „თუ მთელი ქვეყნის ჭაბუკებმა...“, (ახალგაზრდობის მსოფლიოს დღისადმი მიძღვნილი გადაცემა), 18.40 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალისათვის. საბტელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები“ — „დიდამშვიდობისა“ — საქართველოს სსრ, 19.10 — რესპუბლიკის ახალი ამბები — (რუსულ ენაზე), 19.30 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“ — ლაგვიის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „დღეს — საბჭოთა მილიციის დღეა“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „საერთაშორისო დღიური“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალისათვის — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ქვეყნის ბავშვები“ — „ლიამშვიდობისა“ — საქართველოს სსრ, 19.10 — რესპუბლიკის ახალი ამბები — (რუსულ ენაზე), 19.30 — „სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად“ — ლატვიის სსრ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „დღეს — საბჭოთა მილიციის დღეა“, (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „საერთაშორისო დღიური“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმების VI საკავშირო ფესტივალისათვის — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „სალამოს შეხვედრები“ — ფერადი გამოსახულებით.

მეორე პროგრამით

18.05 — მოსწავლეთათვის — გეოგრაფია (IX კლასელთათვის), 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ერთი დღე ციერში“, 19.15 — სტუდენტთათვის — ზოგადი ქიმია, 19.50 — კინონარკვევი — „მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა“, 20.00 — სტუდენტთათვის — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, 20.45 — განცხადებები, 20.50 — მხატვრული ფილმი „თევდორეს საყვარელი ცოლი ქსენია“.

საღღესასწაულო ეფირი

რადიო

9 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — მოსწავლეთათვის კონცერტი „მღერიან ბედნიერი ბავშვები“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოგაზეთი“, 12.30 — „მეცნიერება და ტექნიკა“ — რადიოჟურნალი ეძღვნება 1975 სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ბ. ფანჩელი. სიმღერები, 14.45 — „მიკროფონთან — მხატვრული კითხვის ოსტატები“, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ — ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — „დიდები და პატარები“ — საუბარი „ბავშვები კოლექტივში“, 15.45 — ხ. იაშვილის კონცერტი, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.15 — ბავშვებისათვის. რადიოდადგმა „საუკეთესო ნიშანი“, 18.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი“, 20.35 — „მღერის „ორერა“, 20.55 — რ. გვეტაძე „ჩიაკოკონა“ — რადიოდადგმა, 23.30 — ვ. რაველი — ხარპეკტრო პიესები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

8 ნოემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდეგო დასკვნა (დღისით და საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ტაკიმასხარა** (დღისით და საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ზარში მიდის დედის-ერთა** (დღისით), **სხვისი შვილების მამა** (საღამოს); **საქართველოს სახელმწიფო მინიატურების — ნაპრალები** (დღისით), **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში** (საღამოს).

9 ნოემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დაბრუნება (დღისით), **უცხო კაცი** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჭრილობა** (დღისით), **იეთიმ გურეზი** (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ნაცარქიქია** (დღისით), **უვარუვარე თუთაბერი** (საღამოს); **საქართველოს სახელმწიფო მინიატურების — ნაპრალები** (დღისით), **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში** (საღამოს).

ბაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა ალმასაბამს, 11 ნოემბერს.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

კომუნისტი 380098 თბილისი-98, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პრობლემების — 99-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 50443 УЭ 02983

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

01